

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

და

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

“

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	1
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკანა	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	
1 ზოგადი ინფორმაცია	8
2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
3 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები	18
4 ფული და ფულის ეკვივალენტები	19
5 დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები	20
6 საგადასახადო აქტივები	20
7 ძირითადი საშუალებები	20
8 არამატერიალური აქტივები	21
9 ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	21
10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22
11 პრემიის ანარიცხი	23
12 საკუთარი კაპიტალი	23
13 საკომისიო, საწევრო და სხვა საოპერაციო შემოსავლები	24
14 წელიწადისა და პრემიის სარჯი	24
15 იჯარის და კომუნალურის სარჯი	24
16 კომუნიკაციის სარჯი	24
17 საკონსულტაციო სარჯი	24
18 ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხის (ზრდა)/ შემცირება	25
19 სხვა საოპერაციო ხარჯი	25
20 არასაოპერაციო შემოსავალი	25
21 კურსთაშორისი სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)	25
22 შემოსავალი / (ზარალი) ერთ აქციაზე	26
23 პირობითი გალდებულებები	26
24 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ	27
25 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	30
26 საწარმოს უწყვეტობის განხილვა	32
27 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოგლენები	32

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სს "საქართველოს საფონდო ბირჟის" ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახდული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას.

მენეჯმენტი, აგრეთვე, პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შენარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

6. ქურდიანი

ნინო ქურდიანი

ნათურა გვილავა

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

მთავარი ბუღალტერი

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

თარიღი: მარტი 31, 2023

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა**სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"****პირობითი მოსაზრება**

ჩვენ ჩავატარეთ სს "საქართველოს საფონდო ბირჟას" (მემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის, აგრეთვე სრული შემთხვევლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, გარდა "პირობითი მოსაზრების საფუძველი" აბზაცში განხილული საკითხისა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს).

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2003 წელს კომპანიამ განახორციელა ინვესტიცია შევილობილ კომპანიაში, კერძოდ, ამ შევილობილი კომპანიის სააქციო კაპიტალში შეიტანა არაამატერიალური აქტივები და მირითადი საშუალებები. ინვესტიციის აღიარება მოხდა შეფასებული ღირებულებით, რაც შეადგნდა 85,000 ლარს. ჩვენ ვერ მოვაძოვთ საკმარისი მტკიცებულება აღნიშნული ინვესტიციის ღირებულების დასადასტურებლდა. შესაბამისად, ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებულია 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ასევე, შესაბამის რიცხვებითან მიმართებით.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საჭიროს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომელიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი მოსაზრებისთვის.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მოშადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ეფუძნება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მოშადებისა და წარდგენის პროცესის ზედამზღველობაზე.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიძოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულის თაღლითობით ან შეცდომით და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ას-ქის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ას-ქის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შეარჩეულას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოზულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიძოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საქმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებლივი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობებს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განხრას გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავვეგმოთ კონტრული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის უფექტურობა;
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშების საფუძლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რამე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშების შესაბამის შენიშვნებზე ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები აღეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღდამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშების საფუძვლად აღბული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვათან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 31 მარტი, 2023

თბილისი, საქართველო



სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-22	31-დეკ-21
ფული და ფულის ექვივალენტები	4	83,367	182,825
დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები	5	36,027	28,897
საგადასახადო აქტივი	6	11,421	14,196
სულ მიმდინარე აქტივები		130,815	225,918
ძირითადი საშუალებები	7	384	664
არამატერიალური აქტივები	8	18,898	22,198
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	9	209,134	209,134
სულ გრძელვადიანი აქტივები		228,416	231,996
სულ აქტივები		359,231	457,915
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	25,862	43,430
პრემიის ანარიცხი	11	6,000	50,000
სულ მიმდინარე ვალდებულებები		31,862	93,430
სააქციო კაპიტალი	12	30,000	30,000
საემისიო კაპიტალი	12	117,452	117,452
გაუნაწილებელი მოგება		179,917	217,033
სულ კაპიტალი		327,369	364,485
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		359,231	457,915

6. ქ/კ.
ნინო ქურდიანი

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი


ნათურა გვილავა

მთავარი ბუღალტერი

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

თარიღი: მარტი 31, 2023

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2022	2021
საკომისიო და საწევრო შემოსავლები	13	318,385	386,905
სხვა საოპერაციო შემოსავალი	13	-	32
სულ შემოსავლები		318,385	386,937
ხელფასისა და პრემიის ხარჯი	14	(273,182)	(262,296)
იჯარა და კომუნალური ხარჯები	15	(106,644)	(119,378)
კომუნიკაციის ხარჯი	16	(16,237)	(14,948)
დეპოზიტარის მომსახურება		(12,000)	(12,000)
საკონსულტაციო ხარჯი	17	(10,247)	(12,324)
ცვეთა და ამორტიზაცია	7, 8	(3,580)	(3,603)
მივლინების ხარჯი		-	(2,335)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხის (ზრდა)/შემცირება	18	(8,188)	(852)
სხვა საოპერაციო ხარჯი	19	(28,368)	(29,586)
ფინანსური შემოსავალი	4	5,574	9,774
არასაოპერაციო შემოსავალი	20	101,104	25,442
გურსთაშორისი სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)	21	(3,733)	(3,062)
მიმღინარე წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		(37,116)	(38,231)
მიმღინარე წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(37,116)	(38,231)
შემოსავალი / (ზარალი) ერთ აქციაზე საბაზისო და გაზაფებული	22	(0.01)	(0.01)

6. ქ/კ.
ნინო ქურდაიანი

b. ქ/კ.
ხათუნა გვილავა

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

მთავარი ბუღალტერი

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

თარიღი: მარტი 31, 2023

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	<u>შენიშვნა</u>	2022	2021
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები		319,808	406,425
თანამშრომლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		348	-
მომწოდებლებისთვის და თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(426,489)	(502,008)
მიღებული პროცენტი		5,302	9,773
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(101,031)	(85,810)
წმინდა ზრდა / (კლება) წლის განმავლობაში		(101,031)	(85,810)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		182,825	271,301
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		1,573	(2,666)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	4	83,367	182,825

ნინო ქურდიანი

ნათურა გვილავა

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

მთავარი ბუღალტერი

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

თარიღი: მარტი 31, 2023

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	30,000	117,452	255,264	402,716
წლის მოგება / (ზარალი)	-	-	(38,231)	(38,231)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	30,000	117,452	217,033	364,485
წლის მოგება / (ზარალი)	-	-	(37,116)	(37,116)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	30,000	117,452	179,917	327,369

6. ქუჩა .
ნინო ქურდიანი

b. ქურდიანი
ხათუნა გვილავა

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

მთავარი ბუღალტერი

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

თარიღი: მარტი 31, 2023

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

1 ზოგადი ინფორმაცია

სააქციო საზოგადოება "საქართველოს საფონდო ბირჟა" (შემდგომში "კომპანია") დაფუძნდა 1999 წლის 12 იანვარს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის ოურიდიული მისამართია: თბილისი, ილა ჭავჭავაძის გამზირი, 74ა. კომპანიის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელია ნინო ქურდიანი.

კომპანიის მირითად საქმიანობას წარმოადგენს ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა-გაფიდვის შესახებ წინადადებების შეგროვება, საჯარო ვაჭრობის ორგანიზება დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად და დადგენილ გარიგებათა შესახებ და ფასებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის გავრცელება.

მირითადი აქციონერები

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მირითად აქციონერებს წარმოადგენენ:

სს "გალტ ენდ თაგარტი" - 17.33% (მათ შორის 2% აქციები ნომინალურ მფლობელობაში);

შპს "თიბისი კაპიტალი" - 17.33%;

შპს "ჯი სი ეფ ჰოლდინგს ჯორჯია" - 15.33%;

სხვა აქციონერები - 50%.

2016 წლის დეკემბერში სს "გალტ ენდ თაგარტმა" გაყიდა თავისი კუთვნილი აქციების ნაწილი შპს "თიბისი კაპიტალზე" და შპს "ჯი სი ეფ ჰოლდინგს ჯორჯიაზე", რის შედეგადაც მას დარჩა 17.33% წილი კომპანიაში (2% ნომინალურ მფლობელობაში არსებული აქციების ჩათვლით), ხოლო მირითადი აქციონერები მასთან ერთად გახდნენ შპს "თიბისი კაპიტალი" (17.33%) და შპს "ჯი სი ეფ ჰოლდინგს ჯორჯია" (15.33%).

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2.1 ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალიაშია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადებისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებებს და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ზარკვების ფუნქციის მიხედვით. კომპანიას მიაჩნია, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფის უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერატორის მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე/გრძელვადიან დაყოფას.

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს კომპანიის ინდივიდუალურ ანგარიშგება, თუმცადა მშობელი კომპანია (სს "საქართველოს საფონდო ბირჟა") ცალკე წარადგენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2.2 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკის სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება, ზოგადად, დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

ფინანსური ანგარიშების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გავრძელება)

2.2 შეფასების საფუძვლი (გავრძელება)

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან რომლის გადახდა ხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ზედაც აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზრზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდნადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემცვებლებით მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეფასებამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკორექტირებული) ფასებით;
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1- გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით);
- დონე 3 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომლებიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

2.3 ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტები

2022 წლის 1 იანვრიდან დალაში შევიდა რიგი ახალი სტანდარტებისა და შესწორებების, თუმცა მათ გავლენა არ აქვთ კომპანიის ფინანსურ ანგარიშებაზე:

- ა) ბასს 16-ის შესწორებები: "მირითადი საშუალებების დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე მიღებული შემოსულობა"
- ბ) ბასს 37-ის შესწორებები "წაგებანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების დანახარჯი"
- გ) ფასს 16-ის შესწორებები "კოვიდ 19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ"

ბასს 16-ის შესწორებები: "მირითადი საშუალებების დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე მიღებული შემოსულობა"

დოკუმენტი ბასს 16-ის "მირითადი საშუალებების" შესწორებები მოითხოვს, რომ კომპანიამ აღიაროს იმ ნაწარმის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა, რომელიც შექმნა მირითადი საშუალებების დანიშნულებისამებრ მზადების პროცესში და, ასევე, დაკავშირებული დანახარჯები მოგება ან ზარალში, ნაცვლად იმისა, რომ ეს მიღებული თანხები გამოქვეთოს აქტივის თვითონირებულებიდან. ეს ცვლილება გამოიყენება რეტროსპექტულად.

ბასს 37-ის შესწორებები - "წაგებანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების დანახარჯი"

ბასს 37-ის შესწორებების - "ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები" შედეგად უფრო ზუსტად განისაზღვრება დანახარჯები, რომლებსაც საწარმო თვალისწინებს, როდესაც აფასებს, ხელშეკრულება წაგებანი იქნება თუ არა.

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გავრძელება)

2.3 ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (გავრძელება)

ფას 16-ის შესწორებები - კოვიდ 19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ"

იმისათვის, რომ საწარმომ გამოიყენოს ფასს საიჯარო ქირის აღრიცხვის გამარტივებული მიღვომა, დაკმაყოფილებული უნდა იყოს შემდეგი ყველა პირობა:

- საიჯარო გადახდების ცვლილება იწვევს იჯარის ანაზღაურების ოდენობის ცვლილებას/გადახედვას, მაგრამ იჯარის ანაზღაურების შესწორებული ოდენობა მირითადად იგივეა ან ნაკლებია იჯარის ანაზღაურების იმ ოდენობაზე, როგორიც იყო უშუალო საიჯარო გადახდების ცვლილების წარმოშობამდე;
- საიჯარო გადახდების შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ ისეთ გადახდებზე, რომლებიც თავდაპირველი ხელშეკრულების თანახმად გადახდას ექვემდებარებოდა არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივნისისა; და
- იჯარის გადებსა და პირობებში არ შესულა სხვა არსებითი ცვლილებები.

2.4 სტანდარტები, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი სტანდარტები და შესწორებები ჯერ არ არის ძალაში შესული და გავლენა არ აქვთ კომპანიის ფინანსურ ანგარიშებაზე.

ა) ფას 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებები;

ბ) ბას 1-ის შესწორებები - "ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად";

გ) ფას 10-ისა და ბას 28-ის შესწორებები - "აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის დადგებული გარიგების ფარგლებში";

დ) ბას 1-ისა და ფას სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2-ის - "ინფორმაციის გამჭღავნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ" - შესწორებები;

ე) ბას 8-ის შესწორებები - ინფორმაციის გამჭღავნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ და სააღრიცხვო შეფასების განმარტება;

ვ) ბას 12-ის შესწორებები - გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და კალდებულებებთან.

ფას 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებები;

• ფას 17 - "სადაზღვევო ხელშეკრულებები" - ადგენს პრინციპებს საწარმოს მიერ დადგებული სადაზღვევო ხელშეკრულებების აღიარების, შეფასების, წარდგენისა და მათ შესახებ განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჭღავნებისთვის. გარდა ამისა, სტანდარტი ანალიგიური პრინციპების გამოყენებას მოითხოვს ასეთი გადაზღვევის ხელშეკრულებებისა და საწარმოს მიერ გამოშვებული დისკრიციული მონაწილეობის პირობების მქონე საინვესტიციო ხელშეკრულებების მიმართაც.

ფას 17 ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

ბას 1-ის შესწორებები - "ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად"

• ბას 1-ის "ფინანსური ანგარიშების წარდგენა" - შესწორებების შედეგად უფრო ნათლად განისაზღვრა მოთხოვნები, რომელიც ეხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში ვალდებულებების ნაშთის წარდგენას მოკლევადიანი ან გრძელვადიანი ვალდებულებების სახით. ასევე, უფრო ნათლად არის განმარტებული ვალდებულებების დაფარვის მნიშვნელობა.

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

ფინანსური ანგარიშების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.4 სტანდარტები, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ფასს 10-ისა და ბასს 28-ის შესწორებები - "აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მექანიზმის დადგენერირების ფარგლებში"

ფასს 10-ისა - "კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშება" და ბასს 28-ის - "ინვესტიციები მექავშირე საწარმოებში" - შესწორებების შედეგად უფრო ნათელი გახდა ინვესტორსა და მის მექავშირე ან ერთობლივ საწარმოებს შორის განხორციელებული აქტივების გაყიდვის ან საკუთარ კაპიტალში შეტანის ოპერაციების სააღრიცხვო მიღომა. იმ შემთხვევაში, როდესაც არაფულადი აქტივები წარმოადგენს საწარმოს, ინვესტორი აღიარებს მთელ შემოსულობას ან ზარალს, რომელიც დაკავშირებულია ამ აქტივების გაყიდვასთან ან საკუთარ კაპიტალში შეტანასთან. სხვა შემთხვევაში, ინვესტორი შემოსულობას ან ზარალს მხოლოდ იმ ოდენობით აღიარებს, რა ოდენობის წილიც აქვს სხვა ინვესტორს შემოსულობას ან ზარალს მხოლოდ იმ დღენობით აღიარებს, რა დანართის წილიც აქვს სხვა ინვესტორს შემოსულობას ან ზარალს მხოლოდ იმ დღენობით აღიარებს. სააღრიცხვო პოლიტიკის შესვლა გადავადად მანამდე, სანამ ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო დაადასტურებს წილობრივ მეთოდთან დაკავშირებულ კვლევით პროექტს.

ბასს 1-ისა და ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2-ის - "ინფორმაციის გამუდაგნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ" - შესწორებები;

"სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ გასამჟღავნებელი ინფორმაციისა და სააღრიცხვო შეფასების განმარტების შესწორებები" - იწვევს შემდეგი სტანდარტების ცვლილებებს:

- ფასს 7, რათა ნათლად ჩანდეს, რომ საწარმოს ფინანსური ანგარიშებისთვის, საგარაულო, არსებითი იქნება ფინანსური ინსტრუმენტების შეფასების საფუძველის შესახებ ინფორმაცია;
- ბასს 1, რათა საწარმოს ინფორმაციის გამუდავნება მოეთხოვთ არა მნიშვნელოვნი, არამედ არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ;
- ბასს 8, რათა უფრო ნათელი გახდეს, როგორ უნდა განასხვაოს საწარმო სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და სააღრიცხვო შეფასების ცვლილება;
- ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2 - "არსებითობის განსჯა", რათა საწარმოს პქნონდეს მითითებები იმის თაობაზე, როგორ უნდა გამოიყენოს არსებითობის ცნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ გასამჟღავნებელ ინფორმაციასთან მიმართულით.

ბასს 12-ის შესწორებები - გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან" - გამოიწვია ბასს 12-ის შეცვლა, რათა უფრო ნათელი გამხდარიყო ისეთ ოპერაციებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადის აღრიცხვის წესი, რომლებიც, ოპერაციის განხორციელების მოწერტში, წარმოშობს იღენტურ დასაბერ და გამოსაქვით დროებით სხვაობებს. გარკვეულ გარემოებებში, საწარმო თავისუფლდება გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ის პირველად აღიარებს აქტივებს ან ვალდებულებებს. ბასს 12-ის ამ შესწორების დოკუმენტში მითითებულია, რომ გათავისუფლდება არ გრულდება ისეთი ოპერაციებზე, რომლის დროსაც საწარმო აღიარებს, როგორც აქტივს, ისე ვალდებულებას, და ამავე დროს, წარმოიქმნება იდენტური დასაბერი და გამოსაქვით დროებითი სხვაობები. ასე შეიძლება მოხდეს ისეთი ოპერაციების შემთხვევაში, როგორებიცაა იჯარა და ექსპლუატაციიდან ამოღების, ადგილმდებარეობის აღდგენისა და მსგავსი ვალდებულებები.

2.5 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშექრულების მონაწილეობის შემთხვევაში.

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

ფინანსური ანგარიშების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.5 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

თავდაპირველი აღიარება და შეფასება (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშისწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაგმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის სახელშეკრულები ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაგმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება "რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით", თუ საწარმო არ გააკეთებს შეექცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნეს გაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების რეზერვის ხარჯის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან არ არის აღიარებული აღიარების შემდგომ.

იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებითან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვეს საკარაულო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვეს განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშეგრაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის გამავლობაში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დასკონტრიბული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრულ შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება-ზარალში.

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

ფინანსური ანგარიშების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.5 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

იმ დებიტორული დავალიანებებისათვის, რომლებიც არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია გაუფასურების რეზერვს განსაზღვრავს კოლექტიურად, რაც დაფუძნებულია გადასახდელების მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვა.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

კადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 - 60 დღე	61 - 90 დღე	91 - 180 დღე	180 დღეზე მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საეჭვო მოთხოვების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაიღლავან ფასს 9-ით დაგვინდ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს "შენარსის ფორმაზე აღმატებულების" პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომლებიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრების რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება;
- კონტროლის გადაცემის შეფასება;

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

სამართლიანი ღირებულებით აღირცხული ფინანსური ვალდებულებები მოვება-ზარალში ასახვით (FVTPL). ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური პეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალის ანგარიშებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსური ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები - ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში, ხვდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

ფინანსური ანგარიშების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გავრძელება)

2.5 ფინანსური ინსტრუმენტები (გავრძელება)

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კინგანის ფინანსური მდგრამარეობის ანგარიშებიდან ამოღებული იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებაში.

2.6 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან (90 დღემდე) ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელიც ადგილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

2.7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც გამოიყენება მომსახურების გასაწევად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ზნით გამოსაყენებლად.

თავდაპირველი აღიარების დროს ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგრამარეობაში მოყვნასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

საოფისე აღჭურვილობა	20% წრფივი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	20% წრფივი

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულებისა და ცვეთის მეთოდების გადახდევა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლოს მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

2.8 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფინანსური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება.

აღიარება

შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის სამპორტო ბაჟს და არადაბრუნებად გადასახადებს, საგაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგრამარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

ფინანსური ანგარიშების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.8 არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

აღიარება (გაგრძელება)

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითორებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყვდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

ამორტიზაცია

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითორებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების 5-10 წლიანი ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

განუსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ წარმოებს, მაგრამ ისინი ექვემდებარებიან გაუფასურებისთვის შემოწმებას.

2.9 ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში აღირიცხება თვითორებულებით. ყოველი საანგარიშებო პერიოდის ბოლოს ხდება ინვესტიციის გაუფასურებაზე შემოწმება. დივიდენდები შვილობილი და მეკავშირე კომპანიებიდან აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშებაში, როცა მტკიცდება კომპანიის უფლება, მიიღოს აღნიშნული დივიდენდი.

2.10 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივების საბალანსო ღირებულება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს შემოწმდება გაუფასურებაზე და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, ჩამოწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე მოგება-ზარალის ანგარიშებაში. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და რეალიზაციის დანახარჯებით შემცირებულ სამართლან ღირებულებას შორის. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალურად აქტივისთვის იმ შემთხვევაში თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. ხოლო თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივებთან ან აქტივთა კადუფიან ერთად, მაშინ ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების წარმოქმნელი ერთეულისთვის, რომელზეც მიმღელია აქტივთა ჯგუფი.

გამოყენების ღირებულება არის აქტივის/ფულადი სახსრების წარმოქმნელი ერთეულის მომავალში გამოყენების შედეგად მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება. მიმდინარე ღირებულება გამოითვლება დაბეგვრამდე დასკონტინებული განაკვეთებით, რომლებიც ასახავნ დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ აქტივთან/ფულადი სახსრების წარმოქმნელ ერთეულთან დაკავშირებულ რისკებს, რომლის გაუფასურების შეგასებას აქვს ადგილი.

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

ფინანსური ანგარიშების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.10 არაფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების გაუფასურება

მიუხდავად იმისა, არის თუ არა გაუფასურების ნიშნები, ყოველწლიურად ან უფრო ხშირად ხდება ასეთი აქტივების გაუფასურებაზე შემოწმება, თუ მოვლენები ან ცვლილებები გარემოებებში მიუთითებს, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გაუფასურებას.

2.11 საგაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოადგენს ძირითადი საქმიანობის პირობებში მომსახურების შეძენაზე წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლებისადმი და მიღებულ ავანსებს. საგაჭრო და სხვა ვალდებულებები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

2.12 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორისი სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.7020 2.8844
საშუალო გაცვლითი კურსი 2022 წლისათვის	2.9156 3.0792
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3.0976 3.5040
საშუალო გაცვლითი კურსი 2021 წლისათვის	3.2209 3.8140

2.13 მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანამდებობის დაბევრას უქვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინგვესტირებული მოგება არ დაბევრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

2.14 ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშებო თარიღის მომენტისთვის კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ კომპანია შეასრულებს მოვალეობას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე, გადასახადებამდე მოქმედი განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარევეულ ვალდებულებასთან დაკაშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მათი დადგომის შესაბამისად.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გავრძელება)

2.15 კაპიტალი

წილისათვის ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა გაღდებულების გამოქვითვის შემდგა დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. წილისათვის ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ. თუ აღნიშნული შემოსულობები აღემატება გამოცემებულ აქციათა ნომინალურ ღირებულებას, ისინი აისახება საქმისით კაპიტალში.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება კალდებულებებად მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები კალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მტკიცდება მათი განაწილება აქციონერთა საერთო კრებაზე. შეალენური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

გამოსყიდული საკუთარი აქციები

გამოსყიდული საკუთარი აქციების ფასი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება კაპიტალიდან გამოკლებით. მათი ყოდვა ან ხელახალი გამოშვება აისახება, როგორც კაპიტალის ზრდა. შედეგად, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არ აისახება რამე სახის მოვება ან ზარალი გამოსყიდული აქციებიდან.

2.16 შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შეფასებული; მოსალოდნელია მომავალი კერისმიგური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება სამედოდა შეფასებული; და შესაძლებელია, სამედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაფიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

თოთოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით კომპანია ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ გალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდო შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაქმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გაცემას მომხმარებელზე.

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აისახება ყველა საგალო ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდით, საპროცენტო შემოსავლებსა და ხარჯებში კლასიფიცირდება ხელშეკრულების მხარეების მიერ გადახდილი და მიღებული ყველა საზღაური, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, საოპერაციო ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.

საზღაურები, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მოიცავნ საზღაურებს, რომლებიც მიღებულ ან გადახდილ იქნა სუბიექტის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასა ან შემქნასთან ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან დაკავშირებით, მაგალითად როგორიცაა კრედიტუნარიანობის დადგენისთვის, გარანტიებისა თუ უზრუნველყოფის შეფასებისთვის, ინსტრუმენტის პირობების შეთანხმებისთვის და გარიგებასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამუშავების საზღაურები.

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

ფინანსური ანგარიშების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.16 შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება (გაგრძელება)

იჯარა

2016 წლის იანვარში ბასეს-მა გამოსცა ახალი სტანდარტი იჯარის აღრიცხვისთვის - ფასს 16 "იჯარა". ახალი სტანდარტით მნიშვნელოვნად არ იცვლება იჯარის აღრიცხვა მეიჯარეებისთვის. თუმცა, მოიჯარებებს იგი ავალდებულებს იჯარების უმტესობის თავაზონ ბაზალსზე აღიარებას საიჯარო ვალდებულებების სახით, აქტივების შესაბამისი გამოყენების უფლებით. მოიჯარეებმა ყველა აღიარებული იჯარისთვის ერთიანი მოდელი უნდა გამოიყენონ, თუმცა მათ უფლება აქვთ არ აღიარონ "მოკლევადიანი" იჯარები და იჯარები "დაბალი ღირებულების მქონე" აქტივებით. ზოგადად, აღიარებულ იჯარაზე მოგების ან ზარალის აღიარების წესი დღეისათვის მოქმედი ფინანსური იჯარის აღრიცხვის წესის მსგავსი იქნება და საპროცესურო ხარჯი და სამორტიზაციო ანარიცხების აღიარება ცალკე მოხდება მოგება-ზარალის ანგარიშებაში.

კომპანიის იჯარები არის მოკლევადიანი. მოკლევადიანი იჯარები არის იჯარები, რომელთა საიჯარო ვადა შეადგენს 12 თვეს ან ნაკლებს. მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული გადახდები აღიარებულია წრფივი მეთოდის საფუძვლზე, როგორც ხარჯი მოგება - ზარალში.

კომპანია იჯარის ვადად მიიჩნევს იჯარის არაგაუქმებად პერიოდს, შემდეგ პერიოდებთან ერთად:

- პერიოდები, რომლებზეც ვრცელდება იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას; და
- პერიოდები, რომლებზეც ვრცელდება იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე არ გამოიყენებს ამ უფლებას;

2.17 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაფარვება და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივების და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად.

შემოსავლების და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ხდება, თუ ის არ მოითხოვება და ნებადართული არ არის ფასს-ის მიხედვით და არ არის თანდართული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

3 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

ფინანსური ანგარიშების მომზადება ფასს-ის მიხედვით მენეჯმენტისგან სააღრიცხვო შეფასებებს და მსჯელობების გამოყენებას მოითხოვს, რომლებიც ფინანსურ ანგარიშებაში აღიარებულ თანხებზე აისახება. სააღრიცხვო შეფასები კეთდება ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და სხვა უაქტორების გათვალისწინებით, მათ შორის მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით მენეჯმენტის იმ მოლოდინების გათვალისწინებით, რომლებიც დასაბუთებული ჩანს არსებულ პირობებში. მსჯელობები, რომლებიც განსაკუთრებულად აისახება ფინანსურ ანგარიშებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შესაძლოა აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშნელოვანი კორექტირება გამოიწვიოს მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში მოიცავს:

ა) ძირითადი საშუალებების სახარებებლო მომსახურეობის ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადის შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავსი აქტივების შეფასებასთან მიმართებაში. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ გაუმართაობას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ამ აქტივს უხდება მუშაობა. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის ხარჯის კორექტირება.

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

ფინანსური ანგარიშების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

3 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები (ვაგრძელება)

ა) ანარიცხები და პირობითი გაღდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება სამომავლო ვალდებულებებისთვის, როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების საფუძველზე და საგარაუდოა, რომ კომპანიას მოეთხოვოს ამ ვალდებულებების შესრულება. ანარიცხები, რომელიც ვერ აქმაყიფილება ვალდებულებად აღიარების კრიტერიუმებს, თანდართულია ფინანსური ანგარიშების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში როგორც პირობითი ვალდებულებები, რადგანაც მათი არსებობა დადასტურდება მხოლოდ რომელიმე არასარწმუნო სამომავლო გარემოების დადგომისას, რომელიც მოლიანდ არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს.

გ) გადასახადები

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას. კომპანიის მეწარმენტი აღიარებს ვალდებულებებს მოსალოდნელი დამატებითი საგადასახადო გაანგარიშებებისთვის საგადასახადო აუდიტის შეფასებების შედეგის საფუძველზე, არის თუ არა იმის აღბათობა, რომ კომპანიას დაეგისრება დამატებითი გადასახადები. როცა საბოლოო საგადასახადო შედეგები განსხვავდება თავდაპირველად აღრიცხული რაოდენობისგან, ეს სხვაობები გაფლენას ახდენენ იმ პერიოდზე, როცა აღნიშნული განსაზღვრებები გაცემდა.

დ) შეილობილ საწარმოებში ინვესტიციების გაუფასურება

კომპანია ყოველწლიურად ატარებს შეილობილ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციების გაუფასურების ტესტირებას თუ გამოვლენილია მათი გაუფასურების ნიშნები. გაუფასურება ხდება მაშინ, როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, რომელიც წარმოადგენს აქტივის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესს. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯებით შემცირებული სამართლიან ღირებულება გამოინარჩუნება ანალოგიური აქტივების გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით შესრულებული გაყიდვის გარიგებებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე ან საბაზრო ფასების მიხედვით, რასაც აკლიდება აქტივის გასხვისებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები. გამოყენების ღირებულების გაანგარიშება ხდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდით. აღდგენითი ღირებულება მერქონბირება დისკონტირებული ფულადი ნაკადებისა და სამომავლო მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მეთოდები გამოყენებული დისკონტირების განაკვეთისა და ექსტრაპოლაციის მეთოდში გამოყენებული ზრდის ტემპის მიმართ.

4 ფული და ფულის ეკვივალენტები

31-დეკ-2022 31-დეკ-2021

ნაშთი მიმღინარე საბანკო ანგარიშზე	24,876	45,135
საბანკო დეპოზიტები	58,491	137,690
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	83,367	182,825

დეპოზიტები შედგება მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, რომელთაც ერიცხებათ საპროცენტო სარგებელი 0.5 - 6.5%-მდე შესაბამისი დეპოზიტის განაკვეთის საფუძველზე.

2022 წლის მანძილზე დეპოზიტებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 5,574 ლარი (2021: 9,774 ლარი).

ვალუტების მიხედვით ფული და ფულის ეკვივალენტები იხილეთ შენიშვნა 24.4-ში, ხოლო ვალუტების მიხედვით საპროცენტო სარგებლის განაკვეთი შენიშვნა 24.3-ში.

საანგარიშებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა ფულისა და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულებასა და მათ სამართლიან ღირებულებას შორის.

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

5 დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები

31-დეკ-2022 31-დეკ-2021

დებიტორული დავალიანება	49,070	34,365
გადახდილი ავანსები	3,131	2,518
მინუს: საეჭვო მოთხოვნების რეზერვი (იხ. შენიშვნა 18)	(16,174)	(7,986)

სულ დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები

36,027 28,897

საანგარიშებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

6 საგადასახადო აქტივი

კომპანიას საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულება წარმოეშვება საშემოსავლო, ქონების და უკუდაბეგვრის დღგ-ს გადასახადებიდან.

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად მოგების გადასახადით დაბევრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება. 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია განაწილებული მოგების დაბევრიდან წარმოქმნილი გადასახდელი მოგების გადასახადი. ასევე, 2016 წლის საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული მოგების გადასახადის ესტონური მოდელის (მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ) თანახმად, კომპანიას არ წარმოეშვება გადავადებული მოგების გადასახადი.

7 ძირითადი საშუალებები

ოფისის
აღჭურვილობა სულ

ისტორიული ღირებულება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	92,063	92,063
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	92,063	92,063
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	92,063	92,063

ცვეთა და გაუფასურება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(91,081)	(91,081)
ცვეთა წლის მანძილზე	(318)	(318)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(91,399)	(91,399)
ცვეთა წლის მანძილზე	(280)	(280)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(91,679)	(91,679)
--	-----------------	-----------------

წმინდა საბალანსო ღირებულება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	982	982
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	664	664
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	384	384

2022 წლის ბოლოსთვის, სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება ჯამში შეადგინს 93,278 ლარს (2021: 93,278 ლარი), რომელსაც კვლავ იყენებს საოპერაციო საქმიანობაში.

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

8 არამატერიალური აქტივები

	არამატერიალური აქტივები	სულ
ისტორიული ღირებულება		
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	35,810	35,810
შეძენა	1,750	1,750
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	37,560	37,560
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	37,560	37,560

ამორტიზაცია და გაუფასურება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(12,077)	(12,077)
ამორტიზაცია წლის მანძილზე	(3,285)	(3,285)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(15,362)	(15,362)
ამორტიზაცია წლის მანძილზე	(3,300)	(3,300)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(18,662)	(18,662)

წმინდა საბალანსო ღირებულება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	23,733	23,733
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	22,198	22,198
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	18,898	18,898

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი ღირებულების მქონე არამატერიალური აქტივები მოიცავს კომპანიის ვებსაიტს. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულება შეადგინა 18,898 ლარს (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 22,198 ლარი), ხოლო დარჩენილი საიცოცხლო მომსახურების ვადა 67 თვეს.

2022 წლის ბოლოსთვის კომპანიას ვააჩნია სრულად ამორტიზირებული არამატერიალური აქტივები, რომელთა ჯამური ღირებულება 2,501 ლარია (2021: 2,501 ლარი.)

9 ინვესტიციები შეიღლობილ კომპანიებში

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021		
	წილი	ლარი	წილი	ლარი
სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“	16.70%	100,000	16.70%	100,000
სს „თბილისის საფონდო ბირჟა“	27.42%	100,000	27.42%	100,000
სს „კავკასრეესტრი“	57.86%	9,134	57.86%	9,134
სულ ინვესტიციები შეიღლობილ კომპანიებში	209,134		209,134	

შეიღლობილი კომპანიები არიან რეგისტრირებული იმავე მისამართზე, რა მისამართზეც არის რეგისტრირებული მშობელი კომპანია (თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ.74ა), გარდა სს „თბილისის საფონდო ბირჟისა“, რომლის რეგისტრაციის მისამართია: თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ: #71, მე-8 ბლოკი, მე-2 სართული.

2016 წლის დეკემბერში სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ აქციების 75.06% - ის მფლობელი გახდა სს „თბილისის საფონდო ბირჟა“, რომელიც, თავისი მხრივ, სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ შეიღლობილია.

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

ფინანსური ანგარიშების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

9 ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში (გაგრძელება)

2022 წლის ბოლოს სს "საქართველოს საფონდო ბირჟა" ფლობდა სს „თბილისის საფონდო ბირჟის“ აქციების 27.42%-ს (2021 წელი: 27.87%).

მიუხედავად სს „თბილისის საფონდო ბირჟაში“ 27.42% (2021 წელი: 27.87%) წილისა, სს "საქართველოს საფონდო ბირჟა" ინარჩუნებს კონტროლს მასზე და მის შედეგებს ასახავს საკუთარ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებაში.

კომპანიამ სს „თბილისის საფონდო ბირჟა“ ("თსბ") დააფურნა 2015 წლის 7 მაისს. დაფურნების მიზანი იყო ბიზნესის განვითარებისთვის სახსრების დაუბრკლებლად მოზიდვა თსბ-ს აქციების რეალიზაციის გზით.

სს „კავკასრეესტრი“ 2015 წლის 1 ოქტომბრამდე წარმოადგენდა მექავშირე კომპანიას, რადგან კომპანიას სს „კავკასრეესტრზე“ ჰქონდა მნიშვნელოვანი ზეგავლენა და არა კონტროლი. 2015 წლის 1 ოქტომბრიდან კომპანიამ მოიპოვა კონტროლი სს „კავკასრეესტრზე“. სს "საქართველოს საფონდო ბირჟაში“ სასამართლო გადაწეტილების შედეგად 2022 წლის 3 ნოემბერს სს "კავკასრეესტრზე“ დაკარგა კონტროლი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2022 წლის აუდიტირებული ფინანსური ინფორმაცია შვილობილების შესახებ:

31-ღეკ-2022

	ჯამური აქტივები	წმინდა აქტივები	წმინდა მოგება / (ზარალი)
სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“	1,420,701	1,418,532	15,615
სს „თბილისის საფონდო ბირჟა“	2,509,330	2,483,906	(300,945)
სს „კავკასრეესტრი“	347,809	286,474	(12,330)
სულ ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	4,277,840	4,188,912	(297,660)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2021 წლის აუდიტირებული ფინანსური ინფორმაცია შვილობილების შესახებ:

31-ღეკ-2021

	ჯამური აქტივები	წმინდა აქტივები	წმინდა მოგება / (ზარალი)
სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“	1,405,414	1,402,914	(133,794)
სს „თბილისის საფონდო ბირჟა“	2,798,685	2,784,851	(276,611)
სს „კავკასრეესტრი“	359,736	298,804	(30,639)
სულ ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	4,563,835	4,486,569	(441,044)

10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

31-ღეკ-2022 31-ღეკ-2021

მიღებული ავანსები	13,566	31,567
კრედიტორული დაგალიანება	12,296	11,863
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25,862	43,430

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

10 სავაჭრო და სხვა გალდებულებები (გაგრძელება)

მიღებული ავანსები მოიცავს ემიტენტებისგან მიღებულ წინასწარ გადახდილ ბირჟაზე ლისტინგის გადასახადს.

11 პრემიის ანარიცხი

კომპანიის მენეჯმენტმა საანგარიშებო პერიოდის ბოლოს შექმნა ანარიცხი გენერალური დირექტორისთვის გადასახდელ პრემიაზე მენეჯმენტის შეფასებით, არსებობს 50%-ზე მეტი ალბათობა იმისა, რომ სამეთვალყურეო საბჭო დაამტკიცებს აღნიშნულ პრემიას.

ანარიცხი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100,000
გადახდა	(84,022)
დარიცხვა	34,022
ანარიცხი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	50,000
დარიცხვა	33,333
რეზერვია ამობრუნება (შენიშვნა 20)	(83,333)
დარიცხვა	6,000
ანარიცხი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,000

12 საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი შედგება 3,000,000 ცალი ნებადართული და განთავსებული ჩვეულებრივი აქციისგან, 0.01 ლარის ნომინალური ღირებულებით. კომპანიას 2022 და 2021 წლის განმავლობაში ახალი აქციები არ გამოუშვა.

კომპანიის საემისიო კაპიტალი 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 117,452 ლარს.

საანგარიშებო პერიოდის განმავლობაში არ მომხდარა აქციონერებზე დივიდენდის გაცემა.

კაპიტალის მართვა

საკუთარი კაპიტალის მართვისას (რომელსაც კომპანია განმარტავს, როგორც თავის ფასების მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშებაში ასახულ წმინდა აქტივებს) კომპანიის მიზანია, შექმნას რისკების დაზღვევისთვის საკმარისი ბუფერი და უზრუნველყოს კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი, რათა მან გააგრძელოს დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებლის შექმნა და დააგენერიროს უკუგება აქციონერებისთვის.

ამ მიზნების მისაღწევად კომპანია აფასებს პროდუქტებისა და პროექტების თანმდევ რისკებს და შესაბამისობას კაპიტალურ ბუფერებთან; მუდმივად განახლებადი ფინანსური ანგარიშებების წარმოებით მართავს და აკონტროლებს საკუთარი კაპიტალის შესაბამისობას რისკებთან და კაპიტალის მოთხოვნებთან.

საფონდო ბირჟებს საქართველოს ეროვნული ბანკი ("სებ") უსაზღვრავს საკუთარი კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს. ეროვნული ბანკის მოთხოვნის თანახმად საფონდო ბირჟისთვის საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა შეადგინდეს 50,000 ლარს. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს "საქართველოს საფონდო ბირჟის" საკუთარი კაპიტალი არის 327,369 ლარი (2021 წელი: 364,485 ლარი), შესაბამისად კომპანია აკმაყოფილებს მინიმალური საკუთარი კაპიტალის მოთხოვნებს. სების მიერ დაწესებული მოთხოვნების მართვა ინტეგრირებულია კაპიტალის მართვის საერთო ჩარჩოში და კონტროლირდება დინამიურად კომპანიის მენეჯმენტის მიერ.

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"
 ფინანსური ანგარიშების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

12 საკუთარი კაპიტალი (გაგრძელება)

კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

ამასთანავე, საფონდო ბირჟას საქართველოს ეროვნული ბანკი ავალდებულებს საფონდო ბირჟის ლიცენზიის ფლობის ყველა ეტაპზე განხილეს ფულადი სახსრები საქართველოში ღიცენზირებულ საბანკო დაწესებულებებში გახსნილ ანგარიშებზე ჯამურად არანაკლებ მინიმალური კაპიტალის 100%-ის ოდენობით. კომპანიის ფულადი სახსრები სრულად განთავსებულია საქართველოში ღიცენზირებულ საბანკო დაწესებულებებში გახსნილ ანგარიშებზე. წლის განმავლობაში ფულადი სახსრების ნაშთი არ ყოფილა მინიმალურ კაპიტალზე (50,000 ლარი) ნაკლები და შესაბამისად კომპანია აკმაყოფილებს მინიმალური საკუთარი კაპიტალის მოთხოვნებს.

13 საკომისიო, საწევრო და სხვა საოპერაციო შემოსავლები

2022

2021

ლისტინგის გადასახადი	172,266	221,307
მონაცემთა მიწოდებით მიღებული შემოსავალი	94,068	104,260
დაფიქსირებულ არასაბირჟო გარიგებულზე მიღებული საკომისიო	18,277	36,826
საწევრო გადასახადი	15,864	16,080
შემოსავალი საწყისი სალისტინგო შენატანიდან	13,500	5,500
საბირჟო ვაჭრობაზე დადებული გარიგების საკომისიო	1,531	112
სხვა შემოსავლები	2,880	2,852
სულ საკომისიო, საწევრო და სხვა საოპერაციო შემოსავლები	318,385	386,937

14 ხელფასისა და პრემიის ხარჯი

2022

2021

ხელფასი	217,188	222,033
პრემია	51,285	34,022
საპენსიო შენატანის ხარჯი	4,709	6,241
სულ ხელფასისა და პრემიის ხარჯი	273,182	262,296

15 იჯარის და კომუნალურის ხარჯი

2022

2021

ოფისის იჯარა	96,732	108,947
კომუნალური ხარჯი	9,912	10,431
სულ იჯარის და კომუნალურის ხარჯი	106,644	119,378

16 კომუნიკაციის ხარჯი

2022

2021

ტელეფონის სააბონენტო ხარჯი	5,129	5,302
ინტერნეტ მომსახურების ხარჯი	3,600	3,600
მეოლით სარგებლიობის ხარჯი	5,712	5,437
სხვა კომუნიკაციის ხარჯი	1,796	609
სულ ხელფასისა და პრემიის ხარჯი	16,237	14,948

17 საკონსულტაციო ხარჯი

საკონსულტაციო ხარჯი მოიცავს აუდიტორული, საბუღალტრო და იურიდიული მომსახურების ხარჯებს, რომელიც 2022 წელს შეადგინ 10,247 ლარს. (2021 წელი: 12,324 ლარს).

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

18 ფინასური აქტივების გაუფასურების ანარიცხის (ზრდა)/ შემცირება

	დებიტორული დავალიანება	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი	(7,134)	(7,134)
რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში	(852)	(852)
2021 წლის 31 დეკემბერი	(7,986)	(7,986)
რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში	(2,774)	(2,774)
ჩამოწერა	(5,414)	(5,414)
2022 წლის 31 დეკემბერი	(16,174)	(10,760)

19 სხვა საოპერაციო ხარჯი

	2022	2021
დაზღვევის ხარჯი	10,205	7,852
დასუფთავებისა და მომსახურების ხარჯი	3,368	3,878
სამუშაო საქონლის ხარჯი	2,291	1,684
რეგისტრაციის ხარჯები	1,729	1,750
საკანცელარიო ხარჯები	1,698	1,597
ტრანსპორტირების ხარჯი	1,248	2,878
წარმომადგენლობითი ხარჯი	1,047	781
ბანკის საკომისიო	676	714
საფოსტო და კურიერის ხარჯები	254	363
ოფისის ხარჯები	154	350
თანამშრომელთა სარგებელი	123	243
პერსონალის ტრენინგი	-	2,306
სხვა ხარჯები	5,575	5,190
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	28,368	29,586

20 არასაოპერაციო შემოსავალი

	2022	2021
ანარიცხის შემცირებიდან მიღებული შემოსავალი	83,334	-
ოფისის ქვეყანარიდან მიღებული შემოსავალი	17,770	19,646
სახლმწიფო სუბსიდიდან მიღებული შემოსავალი	-	5,796
	101,104	25,442

მიმდინარე და გასული წლის საანგარიშებო პერიოდის განმავლობაში სს "საქართველოს საფონდო ბირჟის" გენერალური დირექტორის მოსალოდნელი პრემიის ხარჯისათვის შექმნილ იქნა ანარიცხვი 83,334 ლარის ოდენობით. ვინაიდან, 2022 წლის მაისის თვეში გენერალურმა დირექტორმა დატოვა თანამდებობა, აღნიშნულ პერიოდამდე აკუმულირებული ანარიცხი იქნა აღიარებული მიმდინარე პერიოდის შემოსავლად.

21 კურსთაშორისი სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)

	შული და ფულის ოთავათ	დებიტორული დავალიანება	კრედიტორული თავათაობისა	კონვერტაცია	სულ
მოგება კურსთაშორისი სხვაობიდან	2,352	1,467	1,686	-	5,505
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	(4,130)	(3,086)	(210)	(1,812)	(9,238)
2022 წლის კურსთაშორისი					
სხვაობის წმინდა	(1,778)	(1,619)	1,476	(1,812)	(3,733)
მოგება/(ზარალი)					

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

ფინანსური ანგარიშების ახსნა-გამარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

21 კურსთაშორისი სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი) (გაგრძელება)

შული და ფულის ეკვივალ.	დეპიტორული დაგალიანება	კრედიტორული დაგალიანება	კონვერტაცია	სულ
მოგება კურსთაშორისი სხვაობიდნ	2,170	512	342	- 3,024
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	(3,823)	(764)	(485)	(1,014) (6,086)
2021 წლის კურსთაშორისი სხვაობის წმინდა	(1,653)	(252)	(143)	(1,014) (3,062)
მოგება/(ზარალი)				

22 შემოსავალი / (ზარალი) ერთ აქციაზე

ჩვეულებრივ შემოსავალი ერთ აქციაზე გამოითვლება წლის მოგებისა და წლის მანძილზე საშუალო შეწონილი ჩვეულებრივი აქციების რაოდენობის შეფარდებით. კომპანია ფლობს მსოლოდ ჩვეულებრივ აქციებს.

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
წმინდა შემოსავალი, რომელიც ექვემდებარება საერთო აქციონერებს	(37,116)	(38,230)
მოგება / (ზარალი) მიმდინარე წლისთვის	(37,116)	(38,230)
აქციების რაოდენობის საშუალო შეწონილი	3,000,000	3,000,000
საბაზისო ერთ აქციაზე	(0.01)	(0.01)

23 პირობითი ვალდებულებები

23.1 დაბეგერის გაუთვალისწინებული გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივი და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზომოხსნებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებოთა, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეპტატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობის რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მოუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონის წინამდებარე ფინანსურ ანგარიშებაზე.

23.2 მიმდინარე სასამართლო დავები

კომპანიას საანგარიშებო თარიღის მდგომარეობით არ აქვს ისეთი სასამართლო დავები, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენოს და, ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცებები.

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

ფინანსური ანგარიშების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

24 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ღიაკოდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებითან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღიარებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. მირთადად კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი;
 - საკალუმბო რისკი.

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანაბრუობლობით. კომპანიის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

31-დეკ-2022 31-დეკ-2021

ფინანსური აქტივები

ფული და ფულის ექვივალენტები	83,367	182,825
დებიტორული დავალიანება	32,896	28,898
სულ ფინანსური აქტივები	116,263	211,723
ფინანსური ვალდებულებები		
საფურო და სხვა ვალდებულებები	12,296	43,429
სულ ფინანსური ვალდებულებები	12,296	43,429

24.1 საკრედიტო რისკი

კომპანია საკრედიტო რისკის საფრთხეს აკონტროლებს ინდივიდუალურ მომხმარებლებზე ღიამიტების დაწესებით. მომხმარებლის საკრედიტო ღიამიტების დაწესების დროს გამოიყენება სხვადასხვა სააგენტოები, მომხმარებლის საცხოვრებელი ქვეყნის მიხედვით. კომპანიას შემუშავებული აქვს კრედიტუნარიან კლიენტებთან საქმის წარმოების პოლიტიკა.

არ შეინიშნება საკრედიტო რისკების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

31-დეკ-2022 31-დეკ-2021

ფული განთავსებული საბანკო ანგარიშებზე	83,367	182,825
დებიტორული დავალიანება	32,896	28,898
სულ ფინანსური აქტივები	116,263	211,723

ფულისა და ფულის ექვივალენტის ბალანსი აღნიშნავს საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთსა და მოკლევადის საბანკო დეპოზიტებს. კომპანია არ ფლობს უზრუნველყოფას მის მიერ მისაღები ნებისმიერი დებიტორული დავალიანებისთვის. დებიტორულ დავალიანებებს კომპანია მართავს ვაღაგადაცილების დღეების მიხედვით.

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

ფინანსური ანგარიშების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

24 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ (გაგრძელება)

24.1 საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

კომპანია იყენებს გაუფასურების 3-დონიან მოდელს, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ზარისხის ცვლილებაზე, რომელიც ჩამოთვლილია ქვემოთ:

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული საწყისი აღიარებისას, კლასიფიცირდება როგორც I დონე და მისი საკრედიტო რისკი განგრძობითად კონტროლირებადა კომპანიის მიერ;
- თუ საწყისი აღიარების შემდგომ დაფიქსირდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, მაშინ ფინანსური ინსტრუმენტი გადადის II დონეში, მაგრამ ამ ეტაპზე არ მიიჩნევა გაუფასურებულად;
- თუ ფინანსური ინსტრუმენტი გაუფასურებულია, მაშინ ის გადადის III დონეში.
- I დონის ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის პროპორციული წლის მომდევნო 12 თვეში მოსალოდნელი მოვლენებისა. ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი II და III დონისათვის გამოითვლება როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ჯერადაც გამოყენებულ გაუფასურების მეთოდს.

I დონე	II დონე	III დონე
(საწყისი აღიარება)	(საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ)	(გაუფასურებული აქტივი)
12-თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის გამავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარჯი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

კომპანია ფინანსური ანგარიშების ყველა ფინანსურ აქტივს, გარდა საგაჭრო მოთხოვნებისა, ასახავს I დონეში როგორც 2022 წლის დასაწყისში, ასევე 2022 წლის ბოლოს.

საგაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიღებას, რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილებულ დღეებზე. კომპანიას აქვს 5 ვადაგადაცილების დონე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროცენტი დაფუძნებულია კომპანიის საოპერაციო სექტორსა და მის წარსულ გამოცდილებაზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცხრილი ვადაგადაცილებისა და პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით მოცემულია ქვემოთ.

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 - 60 დღე	61 - 90 დღე	91 - 180 დღე	180 დღეზე მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

ზარალის ანარიცხი თვლება მოცემული საფუძვლებიდან ერთ-ერთით. ა) 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვან ზრდას არ განიცდის. ბ) არსებობის მანძილზე არსებული საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ განიცდის მნიშვნელოვან ზრდას.

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

ფინანსური ანგარიშების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

24 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ (გავრძელება)

24.2 ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით.

ლიკვიდურობის რისკი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	83,367	-	-	83,367
დებიტორული დაგალიანება	32,896	-	-	32,896
სულ ფინანსური აქტივები	116,263	-	-	116,263
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12,296	-	-	12,296
სულ ფინანსური ვალდებულებები	12,296	-	-	12,296
ლიკვიდურობის პოზიცია	103,967	-	-	103,967

ლიკვიდურობის რისკი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	182,825	-	-	182,825
დებიტორული დაგალიანება	26,379	-	-	26,379
სულ ფინანსური აქტივები	209,204	-	-	209,204
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11,863	-	-	11,863
სულ ფინანსური ვალდებულებები	11,863	-	-	11,863
ლიკვიდურობის პოზიცია	197,342	-	-	197,342

24.3 საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიას საპროცენტო რისკის საფრთხე ემუქრება მხოლოდ იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებზეც მოქმედებს ფიქსირებული განაკვეთი. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების სამართლიან ღირებულებაზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილების შეფასდა, როგორც უმნიშვნელო.

საპროცენტო განაკვეთის რისკთან დაკავშირებული ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

	31-დეკ-2022		31-დეკ-2021	
წლიური %-ში	ლარი	დოლარი	ლარი	დოლარი
ფული და ფულის ეკვივალენტები	6.50%	0.50%	6.50%	0.50%

24.4 სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. ეს ნაბიჯები ძირითადად გულისხმობს სავალუტო დეპოზიტების განთავსებას.

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

24 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ (გავრძელება)

24.4 სავალუტო რისკი (გავრძელება)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას უცხოურ ვალუტაში პქნდა მხოლოდ შემდეგი ნაშთები (დენომინირებული ლარში):

	შელი და ფულის ეკვივალენტები	დებიტორული დავალიანება	სულ
აშშ დოლარი	8,150	19,454	27,604
ევრო	324	-	324
ფრანგი	977	-	977
სულ	9,451	19,454	28,905

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას უცხოურ ვალუტაში პქნდა მხოლოდ შემდეგი ნაშთები (დენომინირებული ლარში):

	შელი და ფულის ეკვივალენტები	დებიტორული დავალიანება	სულ
აშშ დოლარი	26,056	10,813	36,869
ევრო	1,903	-	1,903
ფრანგი	1,252	-	1,252
სულ	29,211	10,813	40,024

ლარის გაცვლითი კურსის 10%-იანი გამყარება/გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ შეამცირებს/გაზრდის დაბეგვრის შემდგომ მოგებას 2,760 ლარით (2021: 3,687 ლარით).

ლარის გაცვლითი კურსის 10%-იანი გამყარება/გაუფასურება ევროს მიმართ შეამცირებს/გაზრდის დაბეგვრის შემდგომ მოგებას 32 ლარით (2021: 190 ლარით).

ლარის გაცვლითი კურსის 10%-იანი გამყარება/გაუფასურება ფრანგის მიმართ შეამცირებს/გაზრდის დაბეგვრის შემდგომ მოგებას 98 ლარით (2021: 125 ლარით).

25 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, დაკავშირებული იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც "ანგარიშგალდებული საწარმო").

ა) პირი ან მისი ოჯახის წევრი მიიჩნევა ანგარიშგალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

- (i) ეს პირი აკონტროლებს ან ერთიპლიგად აკონტროლებს ანგარიშგალდებულ საწარმოს;
- (ii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშგალდებულ საწარმოზე; ან
- (iii) არის ანგარიშგალდებული საწარმოს ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

25 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გავრძელება)

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);
- (ii) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ საწარმოს;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმო;
- (v) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დაქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) (ა) (i) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (viii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განკუთვნება, ანგარიშვალდებულ საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

	2022	2021
შემოსავალი		
შემოსავალი ძირითადი აქციონერებისგან	54,173	
შემოსავალი შვილობილებისგან (გარდა დივიდენდის და ქ/ს საშუალების მიყიდვისა)	18,169	20,016
შემოსავალი სხვა დაკავშირებული მხარეებიდან	23,407	48,267
ზარჯი	2022	2021
შვილობილი	12,000	12,000
სხვა დაკავშირებული მხარეები	3,306	3,490
ხელმძღვანელობის ანაზღაურება	2022	2021
ხელფასი და პრემია	71,862	140,950
მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
ძირითადი აქციონერები	10,810	9,515
შვილობილი	1,657	1,894
სხვა დაკავშირებული მხარეები	319	351
გალდებულებები (ზათ შორის მიღებული ავანსები) დაკავშირებულ მხარეებთან	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
ძირითადი აქციონერები	-	30,551
შვილობილი	941	1,059
ხელმძღვანელობის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ნაშთი	31-დეკ-2022	2021
გადასახდელი პრემია	6,000	50,000

სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

25 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გავრძელება)

საბალანსო ნაშთები	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
სს "საქართველოს ბანკში" განთავსებული ფულადი სახსრები	9,643	9,709
სს "თბილის ბანკში" განთავსებული ფულადი სახსრები	12,090	35,027

26 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

27 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა დაიწყო ომი უკრაინასთან, რამაც გამოიწვია 2014 წელს დაწყებული რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის ესკალაცია. ომი კერ კიდევ გრძელდება კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის. შექრა საერთაშორისო მასშტაბით დაგმეს. ბევრმა ქვეყნამ დააწესა ახალი სანქციები, რამაც გამოიწვია მძიმე ეკონომიკური შედეგები რუსეთისთვის და მსოფლიო ეკონომიკისთვის. კომპანია არ აფასებს ზემოაღნიშნული რუსეთ-უკრაინის კონფლიქტიდან წარმოშობილ რისკებს, როგორც მნიშვნელოვანს, ვნაიდან კომპანიას ან მის მფლობელებს და კომპანიის ძირითად კლიენტებს არანაირი კავშირი არ აქვთ არც რუსეთთან და არც უკრაინასთან.

სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ზელმოწერის თარიღამდე არ მომსდარა.
